საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 454 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პარლამენტთან და პრეზიდენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის N340 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პარლამენტთან და პრეზიდენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანდართული დებულება.

2. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 5 დეკემბრიდან.

მამუკა ბახტაძე

დამტკიცებულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2018 წლის 5 დეკემბრის
N 454 ბრძანებით

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პარლამენტთან და პრეზიდენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. პარლამენტთან და პრეზიდენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართელოს მთავრობის რეგლამენტით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებით, ამ დებულებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შინაგანაწესით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

2. დეპარტამენტის ფუნქციები, სტრუქტურა და უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის რეგლამენტით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. დაკისრებულ ფუნქციათა განსახორციელებლად დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, საქართველოს პარლამენტსა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან.

მუხლი 2. დეპარტამენტის ამოცანები

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნისათვის „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება;

გ) საქართველოს პრეზიდეტთან ურთიერთობა და სამართლებრივი აქტების პროექტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის განსაზღვრა;

დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის ცალკეულ დავალებათა შესრულება.

მუხლი 3. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.

2. დეპარტამენტის უფროსის არ ყოფნის პერიოდში, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის თანხმობითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტს ხელმძღვანელობს მისი ერთ-ერთი თანამშრომელი (დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის დავალებებისა და ამ დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს დეპარტამენტის საქმიანობას, პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

ბ) ანაწილებს სამსახურებრივ დოკუმენტაციას დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის და უზრუნველყოფს მათი საქმიანობის კოორდინაციას;

გ) დადგენილი წესით განსაზღვრავს დეპარტამენტის თანამშრომელთა ფუნქციურ მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს;

დ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის მიმდინარე საქმიანობას;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დეპარტამენტის თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ დეპარტამენტის თანამშრომელთა კანდიდატურებს;

ზ) ამზადებს წინადადებებს დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) ხელმოწერით ადასტურებს დეპარტამენტიდან გასულ დოკუმენტებსა და სხვა მასალებს;

ი) წარმოადგენს დეპარტამენტს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობისას;

კ) შეიმუშავებს დეპარტამენტის დებულებისა და საშტატო ნუსხის პროექტს საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარსადგენად;

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს, უზრუნველყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის სხვა დავალებების შესრულებას.

მუხლი 4. დეპარტამენტის სტრუქტურა, სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები და ხელმძღვანელობა

დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

1. **პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი სამმართველო,** რომლის ფუნქციებია:

ა) საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარსადგენი კანონპროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა/ანალიზი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარსადგენი კანონპროექტების მომზადება საქართველოს მთავრობის სხდომისათვის და საქართველოს მთავრობის სხდომის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მათი პარლამენტში წარდგენა;

გ) საქართველოს პარლამენტიდან წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო წინადადებების და სხვა მასალების

სამართლებრივი ექსპერტიზა/ანალიზი, ასევე მათი სამინისტროებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმება;

დ) საქართველოს პარლამენტიდან წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივებთან, საკანონმდებლო წინადადებებთან და სხვა მასალებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის შენიშვნების (პოზიციის) მომზადება და საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ დადგენილ ვადაში, მათი საქართველოს პარლამენტში წარდგენის უზრუნველყოფა;

ე) კანონპროექტებისა და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ვ) კანონპროექტებისა და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების მიზნით კომისიების, საბჭოებისა და სამუშაო ჯგუფების შექმნა. აგრეთვე, აღნიშნულის მიზნით სხვა უწყებების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;

ზ) კანონთა გარდამავალი დებულებებით საქართველოს მთავრობისთვის ან სამინისტროსათვის განსაზღვრული დავალებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს პარლამენტის ინფორმირება;

თ) საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმის მომზადება და მისი შესრულების კონტროლი;

ი) კანონებთან და კანონპროექტებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შემოსულ სხვადასხვა კორესპონდენციაზე შესაბამისი რეაგირება და პასუხის მომზადება კანონდებლობით დადგენილი წესით;

კ) საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე კანონპროექტებისა და სხვა საკითხების განხილვაში მონაწილეობა;

ლ) საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტებისა და სხვა საკითხების გამოთხოვა;

მ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების, აგრეთვე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნისა და დეპარტამენტის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება.

2. **საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროკავშირის სამართლის სამმართველო,** რომლის ფუნქციებია:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და თანდართული დოკუმენტაციის სამართლებრივი ექსპერტიზა/ანალიზი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასთან (ყველა მოქმედება, რომელსაც მხარე ხელშეკრულების მიმართ ახორციელებს საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებათა გამართვის, ხელშეკრულების ხელმოწერისა და მისი სავალდებულოდ აღიარების ჩათვლით) დაკავშირებით, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება მათი საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის მიზნით. საქართველოს მთავრობის სხდომის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულების პარლამენტში წარდგენის უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი საკითხის, რომელიც საჭიროებს საქართველოს მთავრობის თანხმობას ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას, სამართლებრივი ექსპერტიზა/ანალიზი და საქართველოს მთავრობის/ საქართველოს პრემიერ-მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება, საქართველოს მთავრობის სხდომაზე მისი განხილვისა და საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენის უზრუნველყოფა;

დ) საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენი საქართველოს მთავრობის/ საქართველოს პრემიერ-მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება, მისი საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვისა და საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენის უზრუნველყოფა;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით შემუშავებული კანონპროექტებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა, საჭიროების შემთხვევაში, დასკვნის მომზადება და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის ან ინიციატორი უწყებისათვის გაგზავნა;

ვ) სარატიფიკაციო/შეერთების სიგელის პრემიერ-მინისტრის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერის უზრუნველყოფა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების, აგრეთვე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნისა და დეპარტამენტის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება.

3. სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, რომელსაც დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.

4. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის არ ყოფნის პერიოდში, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის თანხმობითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს მისი ერთ-ერთი თანამშრომელი (სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

5. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი:

ა) ორგანიზებას უწევს სტრუქტურულ ქვედანაყოფში შემავალი საჯარო მოსამსახურეების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს სამსახურებრივ დოკუმენტაციას საჯარო მოსამსახურეთა შორის;

გ) უშუალოდ ამზადებს განსაკუთრებული სირთულის მქონე ცალკეულ დავალებას;

დ) წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს ინფორმაციას სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლების მიერ მიმდინარე და გაწეული საქმიანობის შესახებ;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს, უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნისა და დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულებას.

მუხლი 5. დეპარტამენტის თანამშრომლები

დეპარტამენტის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.